

თირკმლის ქრონიკული დაავადება: რა უნდა იცოდეს ოჯახის ექიმმა?

უწყვეტი პროფესიული განათლების კურსი ინიცირებულია საქართველოს დიალიზის, ნეფროლოგიისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის კავშირის (შემდგომში „კავშირი“) მიერ მოსახლეობაში არაგადამდები დაავადების, კერძოდ, თირკმლის ქრონიკული დაავადების ადრეული გამოვლენისა და მართვის გასაუმჯობესებლად.

უპკ კურსის მიზანი: ოჯახის ექიმის მიერ თირკმლის ქრონიკული დაავადების რისკების მქონე მოსახლეობისთვის თქვდ თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და პრევენციული ღონისძიებების გატარება; ასევე თქვდ მქონე პაციენტების აღრიცხვაზე აყვანა და სპეციალისტებთან დროული კონსულტაცია თქვდ პროგრესირების პრევენციის მიზნით; არანაკლებ მნიშვნელოვანია ოჯახის ექიმის მიერ შორსწასული თქვდ მქონე პაციენტებისთვის მედიკამენტების სწორი შერჩევა, ასევე თქვდ გვერდითი მოვლენების თავიდან აცილება, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა; თქვდ მქონე პაციენტების მიერ დასმულ შეკითხვებზე ინფორმატიული პასუხის გაცემა, რომელიც ხშირად დაკავშირებულია თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიის სწორ და დროულ არჩევანთან.

ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად „კავშირის“ მიერ დაიგეგმა ორდღიანი კურსი, რომლის მიმდინარეობისას ნეფროლოგების მიერ თანდმომდევრულად იქნება გაშუქებული თქვდ განვითარების რისკ-ფაქტორები, კლინიკური მიმდინარეობა და საპრევენციო ღონისძიებები, ასევე მედიკამენტების დანიშვნის თავისებურებები და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის არსი და დაგეგმვა-დაწყების დრო.

დღე პირველი - 30 აგვისტო 15:00-18:00

15:00-15:45

თირკმლის ქრონიკული დაავადების დეფინიცია, სტადირება, ეპიდემიოლოგია და ეტიოლოგიური ფაქტორები

მომხსენებელი: ნორა სარიშვილი

15:45 – 16:00 დისკუსია

16:00-16:45

თირკმლის ქრონიკული დაავადების კლინიკური გამოვლენა და დიაგნოსტიკის მეთოდები

მომხსენებელი: ქეთევან დალაქიშვილი

16:45 – 17:00 დისკუსია

17:00 – 17:45

თირკმლის ქრონიკული დაავადების გართულებები

მომხსენებელი: თამარ თევდორაძე

17:45-18:00 - დისკუსია

დღე მეორე - 31 აგვისტო 15:00-18:00

15:00-15:45

ანტიჰიპერტენზიული მედიკამენტების შერჩევა თირკმლის ქრონიკული დაავადების დროს

მომხსენებელი: ავთანდილ თათარაძე

15:45 – 16:00 დისკუსია

16:00-16:45

თირკმლის ქრონიკული დაავადების გართულებების მკურნალობა

მომხსენებელი: ავთანდილ თათარაძე

16:45 – 17:00 დისკუსია

17:00 – 17:45

თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპია: ინტეგრირებული მიდგომა

მომხსენებელი: ირმა ჭოხონელიძე

17:45-18:00 - დისკუსია